

სტერეოტიპული აზროვნება საქართველოს საჯარო პოლიტიკის  
ადმინისტრირებაში 2011-2019

ტატო მიროტაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება  
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ ჭიაბერაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

## განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ტატო მიროტაძე 26.06.2019

## აბსტრაქტი

2017 წლის დეკემბერში, თბილისის ერთ-ერთ ქუჩაზე, არასრულწლოვნებში მკვლელობის ფაქტმა მედიის და საზოგადოების ფართო მასების ყურადღება მიიპყრო. სამოქალაქო საზოგადოებაში აქტუალური გახდა ისეთი საკითხები, როგორიცაა გახშირებული დანაშაული არასრულწლოვნებში, დანაშაულის პრევენციის მექანიზმების ეფექტურობა და სერვისების არარსებობა. საკითხის მიმართ ვნებათაღელვა არ წყდებოდა. ამ ფაქტს დაემატა ქურდობები და ანტისოციალური ქცევის ხშირი შემთხვევები სისხლის სამართლის ასაკს მიუღწეველი ბავშვებში. კვლავ წინ წამოიწია საკითხი ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებსა და მათი ზრუნვის სერვისებზე. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საზოგადოება აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისგან საპასუხო ნაბიჯებს ელოდა. მრავალი უწყებათაშორისი საბჭოს გამართვის შემდეგ, შემუშავდა საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც სისტემურ ცვლილებებს ითვალისწინებდა. დოკუმენტის პათოსმა საზოგადოების მღელვარება ჩააცხრო, თუმცა, ძირეული ცვლილებები 2 წლის შემდეგაც არ დაწყებულა.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის პოლიტიკა, აღწერილია პროცესების ისტორიული განვითარება და მიმოხილულია სახვადასხვა ქვეყნის პრაქტიკული გამოცდილება. სიღრმისეულ ანალიზზე დაყრდნობით ნაჩვენებია სტერეოტიპული აზროვნების გავლენა პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების და მისი იმპლემენტაციის პროცესში. ნაშრომი მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ თეორიულ ჩარჩოსა და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შემუშავებულია რეკომენდაციები. დასკვნის სახით, ჩამოყალიბებულია ის მთავარი პრინციპები, რომლებიც არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის პოლიტიკის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს.

## **Abstract**

In December 2017, the attention of society and media was attracted by the murder among juveniles. Issues such as frequent crime rate among juveniles, efficiency of crime prevention mechanisms and lack of services, became urgent among Civil Society groups and media. Anxiety towards the issue did not stop. In addition to the murder fact, there were frequent facts of thieving and anti-social behavior among children under the age of Criminal Law. Issues of children living and/or working in the streets and care services for them raised once again. Due to the situation, the society was looking for the response from the legislative and the executive authorities. After a number of inter-agency councils, a public policy document was adopted and systemic changes was taken into consideration. The insight of the document ignited the public anxiety, but the fundamental changes have not started even after 2 years.

In this research, the juvenile crime prevention policy is discussed, the historical development of the processes and the practical experience of different countries has been reviewed. Based on in-depth analysis, the influence of stereotypical thinking is shown in the process of developing and implementing a policy document. The thesis is also important as several recommendations are developed by using the theoretical framework and the results of the research. In conclusion, the main principles set out that should be taken into consideration during the elaboration of juvenile crime prevention policy.